

# თეატრი სხორება



ავთოკურთ სალიტერატურო-მეცნიერული

კვირა, 28 თებერვალი  
№ 9—1916

ფასი  
10 კ.

წელიწადი  
მ ე ო თ ხ ე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. შურ.  
თეატრი და ცხოვრება  
(წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-2 გვ.)



დუბოვაი  
კარლო ჩხეიძე  
მისი ავადმყოფობის ვაჟი

უკვე იბეჭდება  
ეკვლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება  
შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

გორველ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ხალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკარს უდაში, მოოქოვილ-მოგარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შედავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის ღირს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი ამოსვლის ჟამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 კა.)

ხელის მოწერა მიიღება: ყურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანის“ სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ ос. Имедашвили.

## 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათმზიანი ჟურნალი იშრომისტული განყოფილებით, შარყებით და კარიკატურებით

ფელიწადი  
მართება

### „თეატრი და ცხოვრება“

ფელიწადი გამოცემისა მართება

წლიურად  
6 მან.  
ნახ. წლ.  
3 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა ჟურნალში ხუთსამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება, ხელის მოწერის ღირს—2 მ: მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მალათოვის კუჩხ. № 1, ვორონკოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.  
ტელეფონი № 15—41.  
რედაქცია-გამომცემელი ანნა იმედაშვილის



№ 9

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тиф-ლის, Ред. „Театри да Цховреба“ I. Име-дашвили.

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდე-ბა.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ მოსი-წორდება.—რედაქტორთან პირიპირ შეს-ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბს-კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

წელიწადი  
მ თ ს ხ

# დღევანდელი მომენტი შეთანხმებას გვიბრძანებს

როდესაც ჩვენს გაზეთებს გადაიკითხავთ, დაგავიწყდებათ, რომ თქვენ დღევანდელ დღე-სა სცხოვრობთ და ბაბილონის გოდოლი წარ-მოგიდგებათ თვალ წინ.

არა თუ გამოუცდელია, უღვაშ-ამწვანე-ბული მწერლები, გამოცდილნი, მრავალ ქირს გარდახდილნიც კი ისე სწერენ და ისე ეკამა-თებიან ერთი მეორეს, თითქოს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება სუფევდეს ევროპაში.

თუ არა ვცდები, ოსმალები რომ კონსტანტი-ნეს ქალაქს იღებდნენ, თვითონ ქალაქში სხო-ლასტიკოსები ერთი მეორეს ეკამათებოდნენ: რა უფრო აღრე გაჩნდა ქათამი თუ კვერც-ხიო? სამშობლო რომ იღუპებოდა და, ჯერ იმის გადარჩენისათვის ფიქრი და ზრუნვა იყო უპირველესად საჭირო, ეს ამ დალოცვილებს აღარ აგონდებოდათ.

განა იგივე სურათი არ არის ჩვენში?

ჩვენ ვართ მოწავე უდიდესი მოვლენის, საშინელი სისხლის ღვრისა, როდესაც მთელი სახელმწიფოების, მთელი ერების ბედიღბალი სწყდება და იმის მაგიერათ, რომ გამოცდილ-მა ქკუა-დინჯმა მწერლებმა გვასწავლონ, რო-გორ უნდა მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთ, როგორ უნდა დავუხვდეთ ამა თუ იმ მოსა-ლოდნელ შემთხვევებს და სხვ. და სხვ. ყვე-ლა გლახა ქრიაშვილს ჰბაძავს და გაისმის ძვე-ლებური დაუსრულებელი მხილება: ფედერა-

ლისტები სოციალისტები არ არიან, დასელებს სამშობლო არა სწამთ, „საქართველოელები“ თავად-აზნაურობის დამცველები არიან და სხვ. და სხვ.

იმის მაგიერათ, რომ არა ჩვეულებრივ და მეტათ სერიოზულ დროს გაისმოდეს ქართვე-ლი ერის ხმა, ქართველ ერს გათვალისწინე-ბული ჰქონდეს თვისი მისწრაფება, თვისი სურვილები, თვისი საჭიროებანი და ახლობე-ლი მომავალი, უკიდურესი აზრთა აღრევაა ჩვენში.

ქართველი ხალხი კი დგას გულ-ხელ და-კრეფილი და მისჩერებია თავის ქკუის მასწავ-ლებლებს: აბა რა გზაზე დავაყენებენ ამის-თანა დროსო, და რა ესმის?

ისევ ის—ძველის-ძველი დავა: ვინ უფრო ნამდვილი სოციალისტია და ვინ უფრო უკე-თესი დამცველია მშრომელი ხალხის ინტერე-სებისა.

მეტყვიან, ეს ასეც უნდა იყოს: საცა სხვა და სხვა კლასებია, მათ შორის ბრძოლაა და ეს ბრძოლა პრესაშიც იქნება უთუოთო.

მართალია, მაგრამ არის ხოლმე ისეთი შემთხვევები ისტორიული ხასიათისა, როცა მთელი დემოკრატიის, მთელი ერის ინტერე-სები დროებით ბრძოლის შეჩერებას, მორიგე-ბას, დროებით შეთანხმებას ითხოვს რაიმე დიდი მიზნის მისაღწევათ.

ჩვენში ეს შეუძლებელია, ჩვენში ისეთი დროა ორმოა პარტიათა შორის, რომ დროები-თი მორიგებაც შეუძლებელიაო, მიპასუხებენ. თუ რუსეთში შესაძლებელია, ჩვენ ვილა-

სი წითელი კოჭი ვართ, ან ვის ვაჯობეთ ქკუით, სიბრძნით და გამჭრიახობით?

როგორ მოხდა, რომ დიდ რუსეთში დიდ პლენანოვს შავრაზმელი პურიშკევიჩი ტაშს უკრავს? ნუ თუ პლენანოვი დაბერდა ან გზა დაებნა?

ნეტავი ამისთანა დაბერებული და გზა-დაბნეული ჩვენშიაც ბევრი ამყოფა.

პურიშკევიჩის ტაში პლენანოვის დიდი ღირსებაა დღევანდელ ისტორიულ მომენტში.

ჩვეულებრივ დროს რომ პურიშკევიჩს პლენანოვისათვის ტაში დაეკრა, ეს იქნებოდა უკანასკნელისათვის დიდი სირცხვილი, დღევანდელს პირობებში კი ეს ტაში პლენანოვის სიბრძნესა და გამჭრიახობას ჰმოწმობს: მან დაივიწყა დროებით მტრობა, ბრძოლა, როდესაც სამშობლო დიდ საფრთხეში დაინახა, და უკიდურეს შავრაზმელთანაც გამონახა საერთო სიტყვები, საერთო გრძობა, საერთო საქმე.

ჩვენში კი ვერაფერს ამის მსგავსს ვერა ვხედავთ და რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ჩვენ სიბრძნეც გვაკლია, წინდახედულობაც, შორსმჭვრეტელობაც და ქვეყნის სიყვარულიც.

სხვა და სხვა პარტიებსა და ჯგუფებს რასაკვირველია სხვა და სხვა მიზანი და მისწრაფება აქვთ, მაგრამ მთელ ქართველ ხალხს, ქართველ დემოკრატის ერთი მისწრაფება აქვს: მას უნდა უკეთესი მერმისი მოიპოვოს, უკეთ იცხოვროს ხვალ ვიდრე დღესაც ცხოვრობს.

და თუ დღევანდელი დღით ვერ ისარგებლა მან, თუ ასეთი დიდი მოვლენა ხელიდან გაუშვა და თვისი ცხოვრების მოსაწესრიგებლათ არ იზრუნა, ხვალ უკვე გვიან იქნება.

დღევანდელ დღეს ქართველ ხალხს ერთი გრძობა, ერთი სურვილი და ერთი მისწრაფება ვინ უნდა შეამუშავებოს, თუ არა ისევე ჩვენმა მოწინავე პირებმა, ჩვენმა მოღვაწეებმა, მწერლებმა და პრესამ?

ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, რომ ვინ სად დაეცემა, ვინ სად ამადლდება, არავინ არ იცის. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რა

მოსთხოვოს მან ბედს, როცა ბედი მას გაუღიმიებს და ის მზათ უნდა იყოს ყოველ გვარი შემთხვევისათვის, რომ თვისი მოთხოვნილება მტკიცეთ წამოაყენოს. მერე ვინ უნდა შეამუშავებოს, ვინ უნდა გაურკვევოს, ვინ უნდა წამოაყენებოს მას ეს მოთხოვნილება შემთხვევის დროს, თუ არა ისევე ჩვენმა მოწინავე პირებმა, ჩვენმა პრესამ?

კმათისა და კინკლაობის დრო იყო, კიდევ მოვა, დღევანდელი დღე კი სხვა საქმეს ითხოვს ჩვენი პრესისაგან და თუ მან თვისი დანიშნულება, თვისი მოვალეობა მთელი ერის წინაშე ვერ შეასრულა, ეს იქნება საშვილისშვილო ცოდვა, საშვილიშვილო დანაშაული.

ვ. კ. მჭედელი

## დ მ ე რ თ ი

ახალგაზდა ქალი ტაძრის კარებთან იდგა და ლოცულობდა.

გარშემო მწუხრი იშლებოდა.. არავინ იყო.

— „ვინც სიყვარული და სასოება დაჰკარგა, მკვლად ირიცხება.“

— „ვინც თავი თვისი ვერა ჰპოვა, ბედნიერებას ვერ იხილავს.“

— „მადლი ის არის, რომ სიმართლით იცხოვრო...“

თითქოს ზეციდან მოისმოდა ეს ხმები და დაყრუბულ ტაძრის შიგნით ლოცვად იკმეოდა; თითქოს ჯვარცმულ იესოს წინ წმინდა სანთლები ენთო და ანგელოსნი გალობდნენ.

ახალგაზდა ქალი ტაძრის კარებთან იდგა და ლოცულობდა...

— „ვისაც სული სძაგს, ის ხორციელად ჰყარს ვით მძოვრი.“

— „ვისაც ქეშმარიტება უყვარს — უნდა ეძიოს.“

— „კეთილი კაცი ის არის, ვინც სხვაში სიკეთეს დაეძებს.“

ირგვლივ გლოვის ზარივით გაისმოდა ეს იღუმალი ღაღადისი და მწუხრის სურნელოვანი ნიავი შორს, შორს, იტაცებდა სოფლიდან სოფლად... სულიერსა და უსულოს ყველას ესმოდა.

# ხალხის წარმომადგენელი



კარლო ჩხეიძე ერთ კვირაზე მეტია ფილტვების ანთებით მიიმედ დაავადმყოფდა, რის გამოც სათათბიროს სხდომებს ვეღარ ესწრება მისი მდგომარეობა სახიფათოდ მიანჩნათ. ავადმყოფ ხალხის წარმომადგენელს მრავალი თანაგრძნობის დევეშა მის ის თურმე. ვუსურვებთ მალე განკურნებულობის და თავის მოვალეობის შესრულებას დაბრუნებოდეს.

## კარლო ჩხეიძე

ნებულობის და თავის მოვალეობის შესრულებას დაბრუნებოდეს.

ღამის სიბნელით შეწუხებული ვარდ-ყვავილები, თითქოს, სიამით ილიმებოდენ, დილას მოელოდენ.

ახალგაზდა ქალი ტაძრის კარებთან იდგა და ლოცულობდა...

— „მიუტევე, რომ მიტოვება ისწავლონ.

— „შეიყვარე, რადგან ადამიანი სიყვარულის ღირსია.

— „იწამე სიცოცხლე და სიკვდილი გაგშორდება...“

ქალი შეკრთა: თავი მაღლა ასწია და თვალები აენთო.

— ღმერთო!..ღმერთო!..— შეჰკვივლა მან.

„ღმერთი! ღმერთი!“ შრიალით გაიმეორეს გაზაფხულის ფოთლებმა. ცელქმა ნიავმა ყვავილებს ჩამოურბინა და განთიადი ახარა...

ახალგაზდა ქალი ტაძარს მოშორდა და სახლისკენ გაეშურა: მიდიოდა და ხედავდა, რომ მზე თანდათან ამოდიოდა..

## ღარია ახვლედიანისა

### „Memento mori“

ბორცვებიან ნაპირიდან მისცურავს პატარა ნავი მობობოქრე ზღვის შორეულ ტალღებში.

მისრიალებს ნავი მჩქეფარე ტალღათა შორის... ის თითქმის ტალღად გადაქცეულა, ისე ევლება თავზე მაცდურ აქოჩრილ ტალღებს...

მისცურავს ნავი და ეთხოვება იგი შორეულს ნაპირებს... მიწას... ეთხოვება მის მშვენიერ ამწვანებულ მდელოებს, მის მედი-

ღურ მთებსა და დაფიქრებულ ტყეებს, მოჩხრიალე ნაკადულებს და დინჯად მსრბოლ მდინარეებს... ყველაფერს სტოვებს ნავი... ყველაფერი ეთხოვება მას... ხოლო ვერსტილდება მას, ნაპირებისაგან განშორებულს, საღამოს სუნთქვა—ცელქი ნიავი. და თითქო ძილში, თითქოს სიზმარში ჩასჩურჩულებს გულად მეზღვაურებს:

— გახსოვდეთ სიკვდილი!..

ტკბილად მღერის წალკოტზე ბუნების შვილი.

მისი ხმათა ბგერა ატკბობს ყოველივე არსს და უსმენენ ისინი მონარნარე ხმებს, ვით გველა საღამურის კვნესას... ამ სიმღერაშიაც ისმის მწარე კვნესა გულისა... დარდი და ვარამი მიწის შვილებისა... და ნაღვლიანად იტკირება ყოველივე. ცხოველთა და ადამიანთ მორვეით რაღაც სევდა... ტყესაც მიიმედ დაუხრია თავისი მწვანე ქოჩრიანი თავი. ყველა სევდით შეუპყრია მომღერალის ჯადოსნურ სიმღერას, ხოლო ამ სიმღერის აკორდებში გამოისმის ორის სიტყვა, რომელსაც ვერასოდეს ვერ იგიწყებს ადამიანი:

— გახსოვდეს სიკვდილი... გახსოვდეს...

როდესაც გაცივდება პირველი კოცნა შეყვარებულთა, როდესაც ბედნიერების „ლოურჯი ჩიტი“ უკვე დაქერილი ჰყავთ, როდესაც სიყვარულის ნაზ ფრთებით ისინი ფრენენ საოცნებო ქვეყანაში და ბედნიერების და ნეტარების ჰიმნსა ქმნიან—მათ სიტყვასა და მღერას სწამლავს იგივე ხმები; იგივე სიტყვები არღვევს სიყვარულით შექმნილ ჰარმონიას:

— გახსოვდეს სიკვდილი!

როდესაც სამარადისო მზე ნელნელა აშორებს ოქროს სხივებს საყვარელ დედა-მიწას, როდესაც საიდუმლო ბინდი მოიცავს მიწის სივრცეს და შავი ღამე სულდარასავით გადეფარება მთვლემარე მიწას—მაშინაც ნელი სიო ძილს უფრთხობს დაღლილ ქვეყანას და ჩასძახის დაჟინებით:

— გახსოვდეს, გახსოვდეს სიკვდილი!..

როდესაც აყვავებულ-ამწვანებული ბუნე-

ბა ლაღობს და ნეტარობს, როდესაც ყოველი არსი მადლობითა და დიდებით იხსენიებს სახელს მიუწოდებელ უხილავისას, როდესაც ყოველივე თავდავიწყებით დასწაფებია და უშრეტელს ნეტარს სიცოცხლისას,—ელვის სისწრაფით დაივლის მთელს სამყაროს გველის სისინის მსგავსი ხმა:

— გახსოვდეს სიკვდილი; გახსოვდეს!..

როდესაც ადამიანს პირველად თვალები აებლიება, როდესაც შორეულ, უცხო და გამოუცნობ ქვეყნიდან შემოდგამს ის ფეხს ამა ცხოვრების ბქესა, როდესაც მას ნეტარებისა და სიამოვნების თვალთ შეჰყურებენ მშობლები და ახლობელნი, ავედრებენ მას უხილავს და უსურვებენ დღეგრძელობას,—არც მას შორდება ეს საიდუმლო ხმები... პირველი ხმა რომელიც შემოესმის მას ამა ქვეყნად, არის ის საშინელი სიტყვები... და სტირის, სტირის ნორჩი ადამიანი!.. ჰგოდებს, რომ სიცოცხლის კარებთანვე ჰხვდება მას საშინელი აჩრდილი, და ჯოჯოხეთური ღიმილით ჩასჩურჩულებს მას:

— გახსოვდეს სიკვდილი!..

ფართო და ლამაზია ქვეყანა... მშვენიერი და წარმტაცია ცხოვრება! მაგრამ, ვით შვის სითბო-სინათლეს ასუსტებს ზეცათ გაკრული შავი ღრუბელი, ვით ცივი ზამთარი აღუნებს და ანელებს გულის ძგერას ბუნებისას, ასე ანელებს და ასუსტებს აღსა და სილამაზეს ცხოვრებისას ეს ძახილი... და ევლება გარს საშინელი ხმები ტანჯულ მიწას და ისმის კიდით კიდემდე ერთი ხმა:

— გახსოვდეთ, გახსოვდეთ სიკვდილი!.. „Memento mori“.

5. მიწიშვილი

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

III

(დასურათბატებული ლ. გუდიაშვილის მიერ)

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 8)

ვანო ს-ღარბეში ამოზარდეს მისმა მშობლებმა. სამეურნეო ცოდნა მიადებოდა. ვა-

ნომაც გამოიყენა ის და თავისი ხრიოკი ეზო ბაღად აქცია: ვაზი, ხეხილი, რა გინდა მის ეზოში არ იყო. მეზობლებსაც კარგი მაგალითი მისცა თვისი შრომით, ეხმარებოდა, ასწავლიდა. იგი ყველასათვის საყვარელი კაცი შეიქნა ფაცხის მაგიერ. ოღა დადგა, ცოლი შეირთო, კარგად ცხოვრობდა, რომ ომს არ მოესწრო...

— ნუ გეშინიათ, ღმერთი დიდია,—ანუ გეშებდენ მეზობლები ივანეს მშობლებს. უკანასკნელნიც მთელ იმედს ღმერთზე ამყარებდნენ. მართა ჩოქვით ევედრებოდა სასოღვთის მშობელს შვილის სიცოცხლეს.

— მისმინე, ღვთის მშობელო, ნუ წამართმევ, გადამირჩინე, მომგვარე შვილი... კი შეგიძლია, ის არის ჩვენი მარჩენალი, ნუ დაგვეყრი ოხრათ.— თვალცრემლიანი ლოცულობდა დილა-საღამოს. ეკლესიაში დადიოდა, სანთლებს უნთებდა ღვთის მშობლის ხატს— ევედრებოდა. მღვდელსაც კი მისცა საწირავი და აწირვია.

ვანო კი მამაკურად იბრძოდა მტერთან მთელი დღეობით... საღამოზე მოღლილ-მოქანცულს, უქმელ-უსმელს, ტანზე გაუხდელს, საღ არ ეძინა... ასე იყო ის მთელი კვირა „პოზიციაზე“, მაგრამ ბოლო დროს მტერი ჩვენს ჯარს მაგრად ეკვეთა, შემოუტია, ვანომაც დასჭყვივლა და მტრის ბანაკში გადაერია... დიდხანს იბრძოდა იგი თავგანწირვით, ვითარცა ლომი, მაგრამ უეცრად მისი შვი თმა სისხლმა შეღება... დარეტიანდა და იქვე წაიქცა. „მიშველეთ“-ო დაიღრიალა, მარა ამ დროს მისთვის არავის ეცალა. შველისა ნაცვლად მეომრები მის სხეულზე ფეხს აბიჯებდენ და ყიყნით გადადიოდნენ... დაქრილთ ზღავილი იმ თ ნანინად ეყურებოდათ... ასე გასტანა საღ-მომდის.

შვის ჩასვლის შემდეგ შესწყდა ზარბაზნების ქექა-ქუხილი... გამეფდა ლამე უკუნეთი; მთვარე არა სჩანს, თითქოს მობეზრდა ცქერა ამდენი საშინელების, ტატობს მოსწყუდა სამუდამოთ და დაიკარგა... ისმის გოდება დაქრილების, გულშემზარავი ღმუილი, კვნესა... „წყალი... მიშველეთ... წყალი...“— იძახის ვანო, მაგრამ წყლის მიმწოდებელი

არავინ არის... ამგვარ ტანჯვაში მიიტანა სული დილაში. ზოგი მოკვდა, და ზოგი ისევ ებრძოდა ტანჯულ სიცოცხლეს.

გათენდა დილა, მზეც ამოვიდა და თავისებურად იწყო ცელქი ციმციმი, თითქოს დასცინოდა გულ-განგძირულ ლომებრ ვაჟაკებს და ამ ლომილით ეუბნებოდა: „უგუნურებო! რას ჩადიხართ, როდის მოხვალთ გონს?.. ძმები ძმებს ხოცავთ, არ გრცხვენიათ... ვაი სირცხვილო... მე მაინც ვათაობთ, მებრალეებით, ჩემო შვილებო“... და მზეც უხვად ჰფენს თვის მადლიან სხივებს დაჭრილ მემორებს და სისხლში მოსვრილთ, რამაც კიდევ უფრო გამოაფხიზლა დაჭრილები და გაუცხოველა ყოფნის სურვილი... მოაგონა სახლი, კარი, მშობლები და წვრილი ცოლშვილი... და დაჭრილთ ხროვა კიდევ უფრო ახმაურდა... აკვნესდა ველი...

სანიტარებიც გამოჩნდნენ მიღმა; კრფენ დაჭრილებს, ვისაც კი მორჩენის ნიშანწყალს ატყობენ. ბოლოს ვანოსაც მოუახლოვედნენ.

— ამძიმე ქრილობა ჰქონია თავში, არ მორჩება... შავი ლაქი წასცხვთ მაგ დაჭრილს, — უთხრა ექიმმა ვანოს შესახებ იქ მდგომ სანიტარს და შემდეგ დაჭრილს დაუწყო სინჯვა.



— არ მოვკვდები... არ დამტოვოთ... არ წაშხოთ ლაქი. — დაედრიჯა სანიტარს დაჭრილი ვანო, ისიც შეჩერდა.

— „წავიღოთ, იქნება მორჩის“, ჩუმად წარმოსთქვეს სანიტარებმა და სისხლში მოსვრილი ჯარის კაცი, საკაცებე ფრთხილად დაუდევს, რომ ამ დროს იქვე გვერდზე უეცრად თოფმა დაიგრილა... ყველა შეკრთ, მტერი

არ ჩანდა, მომაკვდავი ექიმი კი მკვდრებს შეუერთდა... დაჭრილ ჯარის კაცს მოეკლა იგი შავი ლაქის ძალად წასმისთვის...

IV

— ვანოს ამბავი რა იცი, მართა?

— წერილი თუ გაქვს ვანოსაგან, რას იწერება? — ბოლო დროს რაღაც გაახშირეს ქალებმა კითხვა.

— არ ვიცი, შვილო... თვეზე მეტია მისი ამბავი არ გამოვიდა... ვაი მის დედას, თუ რამე უქირს... — თვალ-ცრემლიანი, შიშით მოცული უპასუხებდა მართა სუყველას. პისტი კი გაშტერებით შესტკეროდა ახალ მოსულეებს...

— ალბათ ტყვეთ არის, რის გეწინია, გულს ნუ გაიტეხთ... — ეუბნებოდნენ და პირს არიდებდნენ მათ მეზობლები...

მარა როდესაც ვნოს წერილმა თითქმის ორი თვეც დაგვიანა, მაშინ გრიგოლმა სოფლის მწერალს დეგუშა დააწერინა და გაგზავნა სადაც ჯერ იყო, რომლის პასუხმა მეხი დასცა გრიგოლის ოჯახს:

„ვანუა გრიგოლის ძე შრომისაშვილი თავში დაიჭრა თათრის საზღვარზე და აპერაციის დროს გარდაიცვალა“.

ამ ამბის შემდეგ თუ რა მოხდა იმათ ოჯახში, მისი აწერა არ ძალმიძს... დეე, მკითხველმა წარმოიდგინოს და ნუგეშის სიტყვა მანვე უთხრას ვანოს ქვრივ-ობლებს, მოხუც დედ-მამას...

ვანოს ცხედარი ორი თვის შემდეგ გურიას ჩამოასვენეს... ს. რემონიძე

კინემატოგრაფი და თეატრი

ამ ბოლო დროს იმდენად გაფართოვდა და უსაზღვროდ გავრცელდა კინემატოგრაფი, ისეთი იქნა და მიმართულება მიიღო, რამ არ შეგვიძლიან ამ კასოტარ მოფლენას უურადლება არ მივაქცოთ. „კინემატოგრაფი“ — სულ ეს აკერძათ ხლად ზარზე ეს გაუხდათ ცხოვრების სატკე, ცხოვრების გამომსახველი. სშირად შეხედებით ამ გვარად აღმინებეს, რამუდანიც კინემატოგრაფს წამდინ სწუკენ, ადიდებენ და აღმუკთებენ. ეს კიდევ ცოტაა! ბევრს მათგანს კინემატოგრაფი — ხელაგუნებად მიაჩნია: იგია ის ახალი ხელაგ-

ნება, რომელიც თვატრს შექარას უქადის, დამ-  
ხობას, განადგურებას უშიშროებს!

დაე. ეს აზრი, ეს შეხედულება შერჩეთ  
მათ. ყოველ ადამიანს თავისი მისწრაფება, თავისი  
მიზანი აქვს, თავისი სამლოცველო, ასე  
ვთქვათ, თავისი წმიდათა-წმიდა. მაგრამ ჩვენი  
მწუსარება ამში რაღაცა. ჩვენი გოდება მხოლოდ  
ის არის, თუ შეტდამას, სიბნელეს სადამდინ  
მიჭყავს ადამიანი... გაუგებრობამ იქამდე შეს-  
ტომინა ადამიანს ტალახში, რომ ფეხი ვერ ამო-  
უღია და მერ ლ ჭაბბში ცოდვილდას. კინემატო-  
გრაფიისადმი გატაცება, მისი მოწონება და მის-  
გან სულეირი საზრდას დაკმაყოფილება ნათლად  
დამამტკიცებელია, თუ თანამედროვე, ეგრედწოდ-  
ებულ კულტურულ ხალხს როგორი გემოვნება  
ჭქონია.

კინემატოგრაფი—ეს არის გარეგანილი გე-  
მოვნება, რომელიც სრულიად უხშობს ადამიანს  
ნამდვილ სულეირ საზრდას და უქრობს ესთე-  
ტიურ მოთხოვნილებას.

„რად არის კინემატოგრაფი გარეგანილი  
გემოვნება? — ვინცთ ბევრი შეგვეკითხება.—  
იმიტომ, რომ კინემატოგრაფს არ შეუძლიან,  
თუ ნამდვილი ესთეტი ხართ, თქვენი ესთეტიური  
მოთხოვნილება დააკმაყოფილოს; არ შეუძლიან  
იმიტომ, რომ თქვენ იქ ხედავთ სიუალებს და  
არა ბუნებრივებს; თქვენ ხედავთ სიტლანქებს და  
არა სინაზებს; თქვენ ხედავთ დამახინჯებულ სუ-  
რათებს, რომელსაც არ შეუძლიან თქვენი ცხოფ-  
რების სინამდვილის გამოხატვა, რადგან იგი არ  
არის ორიგინალი, არ არის ცოცხალი სურათი. უსუ-  
ლო ტილოზე ნახვენები უსულო სურათი თქვენზე-  
ვერ მოახდენს შთაბეჭდილებას, ვერ მოახდენს  
იმიტომ, რომ სიცოცხლე არა სჩქეფს თქვენს წინ.  
თქვენს წინ არ არის ნამდვილი მისახიობი—შე-  
მოქმედი, არ არის მისი გულწრფელი განცდა,  
ვერ ხედავთ მის სულეირ თითოფლას, ვერა ხე-  
დავთ მის ემოციას, რადგან მთლად იკარგება  
მისი ზათეტიური მღელვარება და ამიტომაც თქვენს  
ნებისყოფისადა ვერ ააშფოთებს.

მაგრამ იქნება ზოგიერთებმა გვიოხრანს,  
რომ კინემატოგრაფი—ყოველივე ამის ჰლასტი-  
კით გადმოგვცემს, სადაც უსიტუებობის გამო  
დრამატოზიმა ჰლასტიკის სახე მიიღო და ჰან-  
ტომიმის წყალობით ნათლად გადმოგვცემს ცხოფ-  
რების სურათს?

ამ გვარი აზრი ნამდვილი აბსურდია. ნუ  
თუ ადამიანს ისე დაეხშო გონება, ისე დაუბნელ-  
და თავლთა სინათლე, რომ ვეღარაფერი გაურ-  
ჩევია?! ჰლასტიკა და კინემატოგრაფი?! ღმერ-  
თა ჩემო! ჰლასტიკას რა უნდა კინემატოგრაფი-  
თან? ან კიდევ ჰანტომიმა—ეს დიადი ხელოფ-  
ნება, აქ რა მოსატანია? ვეღარ სურათს სადა აქვს  
ან ჰლასტიკა ან ჰანტომიმა? მერე რა შეადგენს  
ჰლასტიკისა და ჰანტომიმის სულსა და საზრ-  
დას, თუ არა ისევე მტუნებაზე სიცოცხლე, ისე-  
ვე ვნებათა-ღელვა, ისევე ემოცია? ვინ მისცა ეს  
თვისება კინემატოგრაფს, მის უსიცოცხლო სუ-  
რათებს? იქ, სადაც არ არის სკულპტურული მო-  
ხაზულობა, სადაც არ არის ელასტიურობა და  
მონუმენტალობა, სადაც არ არის სილამაზე და  
სიმშენიერე, იქ ჰლასტიკაზე მეტია ლაზარკი.  
დასამტკიცებლად მოვიუყანთ მაგალითს. აბა, და-  
აკვირდით, როდესაც კინემატოგრაფში სურათს  
სტვრეტთ. მოდის ადამიანი, როგორა სდგავს  
ფეხებს, ან ხელებს როგორ იქნეეს?! ყოვლად  
შეუძლებელია ასეთი ავტომატური ადამიანის სი-  
არული, მინერა-მოხერა თქვენ ბუნებრივი გე-  
გნით. თუნდა სახის გამომეტყველობა! სად არის  
აქ მიმიკა? ეს ხომ სახის დამახინჯვა, სახის წვა-  
ლებაა! განა ადამიანს ასე უტბად შეეფვლება სა-  
ხე ან სიხარულის ან მწუსარების დროს? შეუ-  
ძლებელია ნორმალურმა ადამიანმა მწუსარების  
დროს გიჟსავით თავლება ისე გადმოყაროს, რომ  
შეგზაროთ. ადამიანის სულსიკვეთება რაღაცა  
შესაზარი, შესადრწუნებელი? იგი მშვიდია და  
წუნარი. ადამიანის ტანჯვა-წამება ჩვენ გულს თუ-  
თქავს, ჩვენი სული სეფდით იმსტვალება! აგრედ-  
ვე არა ბუნებრივია მისი სიხარულის გადმოცემაც,  
ვერა ვხედავთ სიხარულის მეტყველებას, არ არის  
ჭარმონია!

ჩვენ ვნახობთ და ვწუხთ, რომ ამ ბოლო  
დროს, კინემატოგრაფმა თავისი დიადი ჭონო-  
რარებით სახედ-განთქმული მისახიობნი ჩათორია,  
რაც არ შეიძლება სახიფათო არ იუოს მათი  
ხელოვნებისათვის. ეს მით უფრო სამწუსარო მოფ-  
ლენაა, რომ მისახიობი ჭკარკავს ნამდვილ თავის  
როლს. ჭონორარის წყალობით იგი მეღმომენას  
კი არა, მამონის მოსამსახურე ხდება. ხელოფ-  
ნი-მისტვარი—მასში სრულიად იხრდილება და  
ჩვენ წინ გამოდის უბრალო ხელონანი.



მაგრამ ჩვენ გვრწამს, რომ ამას ბოლო მოვლდება. ნამდვილ მსახიობ-ხელოვანს მისწურობდა ნამდვილი ხელოვნება, შეიძლება თავის შეტდომას, თავის თავის დახმარებას და ისევე წმინდა ხელოვნებას მიმართავს. გვინახავს უდიდესი მსოფლიო მსახიობნი სარას ბერნარი, მუნე სიუელი, კამბოტი, თრეპენი და სხვა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ მათი შემოქმედება გვენახოს, რადგან უველა მათგანი ეკრანზე მხოლოდ თავიანთივე აზრები არიან. მაგალითად, ვისაც თრეპენი უნახავს სენასზე, დისტოკესკის „დანამახულსა და სსსკვლში“, რესკოლნიკოვის რაღში, და ამავე რაღში შემდეგ ეკრანზე, დიდებული მსახიობი უეჭველად კლავს შეიტყუება მათგანებელ-ესტეტის თვალში.

აი, ასეთია ეს ახალი მოვლენილი „ხელოვნება“, რომელიც ნამდვილ ხელოვნებას მწიკვლსა სტებს და სრულიად აჭრებს. სად არის აქ ხელოვნება? ან კინემატოგრაფის ხელოვნებად მომნათვლელთ ესმით, თუ რა არის ხელოვნება? ჩვენ გადაჭრით ვიტყვით რომ: სრულიად არა! თუ ხელოვნება რა დარგია, ან რა სახისაა მისი მისწრაფება, მისი დანიშნულება, ჩვენ არ შეუდგებით ახლა მის კადმოცემას, რადგან ეს ძალიან შორს წავივყავს და ამაზე ცალკე გვექნება ლაზარკი, ახლა კი ვიტყვით მხოლოდ: იქ, სა-

დაც არ არის შემოქმედება, სადაც არ არის აზრთა სვლა, სადაც არ არის მხატვრული ფანტაზია, სადაც არ არსებობს ადამიანის სულიერი საზრდას წუროვილის ლტოლვა-მისწრაფება — იქ არ არის ხელოვნება. საერთოდ ენტიტი „ხელოვნება“ ბევრს უაზრად აქვს წარმოდგენილი. ბევრს სრულიად არ ესმის ამ სიტუეის სრული მნიშვნელობა. ბევრი უადგილად ხმარობს მას, თითქო უფრული საგანი ხელოვნების ნაკეთი იყო; ხშირად ხელოვნებას ხელოვნობაში ურვევენ, ეს მაშინ, რადესაც ხელოვნება სრულიად განუქნებელი, აბსტრაქტული ცნებაა! — ხელოვნება — ეს კაცობრიობის იდეალის მასაზრდაობეჯია და მისი ასე ადვილად ხსენება, ხელის წამოკვრა სიწმინდეს შეურაცხყოფა იქნება. ის, რაც ხელოვნების თვისებას შეადგენს, კინემატოგრაფს არა აქვს. იგი ტექნიკური განვითარებაა, ისიც მხოლოდ მისი ჩინჩხია, ადამიანის მიერ მოგონილი და არა შექმნილი. ამას ვარდა, ხელოვნება თავისებური ორიგინალი არის, იგი თავისუფალი დარგია, კინემატოგრაფი კი ფოკუსზეა აშენებული, შექანიზმზე დამყარებული. და რაც უფრო სტერილია, კინემატოგრაფს არა აქვს თავისი შემოქმედება, რაც ხელოვნების უზარველეს სულს შეადგენს. შეუძლიან თუ არა კინემატოგრაფს თეატრის ადგილი დაიჭიროს? ამაზე შემიძღვ.

ვ. ვარრიკი



† გ. ჩიმიჭიანი

მსახიობი, სომხური თეატრის დამფუძნებელთაგანი, თბ. დრამ. პირველი დასის შემდგენი და პეპოს პირველი განმსახივრებელი. ქართული სცენის წინაშეც ღვაწლი მიუძღვის. გარდ. პეტროგრადს ქრ სტეშობ.

# ყვავილები

რ ა დ ე

ის მთის გრებილს ერთხელ კიდევ დაეკონა დაჟინებით,  
 შემდეგ... შემდეგ... საღვთო გზებით  
 შემოველო აღვისა ტანს,  
 მერე მოსწყდა ბროლის ტატანს,  
 ზეცის პერანგს მოსწყდა ღილი  
 და გარდასვლის სიმღერებში  
 დადნა, დადნა მზის სიცილი...

იყო... გაჰქრა...  
 სიზმარივით ეს ლეგენდა დამახსოვდა:  
 აბრეშუმის ფერად ძაფით  
 ერთხელ იგი ბაღჩას ქსოვდა...  
 ერთხელ ისიც იცინოდა  
 აღნებოდა ველს სიმღერად...  
 ახლა გაჰქრა... გაჰქრა მზე...  
 რად?  
 რად?

გ. ლეონიძე

ბნელ ღამეში



სული კენესის... ვიტანჯები... მხუთავს, მშხამავს ღამე ბნელი, ოქროს სხივის შუქს დავსტირი და დავდივარ მზის მძებნელი; დავდივარ და მას ვუყვი, თან ვაქლერებ ქნარის სიმებს,— ქნარს ვაკენესებ, ვარსკვლავს ვუმღერ, ცის სიღრმეში რომ ციმციმებს,— კაკლუს ვუმღერ, ვეხვეწები გაშუქებას ჩემი გზისა, ვევედრები და შევსძახი—ხომ არ იცის რამე მზისა: რად ჩამოსწყდა ცის კამარას, რად დავგებურა ასე ბნელით, სად ჩაუშვა, დაიმალა, ვის ახარებს იქ ნათელით? მაგრამ ვარსკვლავს, ცის მარგალიტს, როდი ესმის ჩემი გლოვა, აღარ ესმის, არ მილიძის, და დამცინის მნათობთ გროვა...

და დავდივარ სევდით სავსე უგზო-უკვლოდ ტყეს და ველსა, კვლავ ვუყვი და ვიმედობ—ვეღირსები სასურველსა. არ დავსტოვებ დაუვლილსა არც უფსკრულსა და არცა კლდეს, მწვერვალს ვეტყვი სწრაფლ განათლდეს, თუ რომ შორით მზე ამაღლდეს, ნამის წვეთებს დავაბარებ მათ მოსტაცონ მნათობს სხივი და მიამბონ, აელვარდენ, აპრიალდენ, ვითა მძივი... ზღვას ჩავყვინთავ აქაფებულს და დავივლი მის უფსკრულსა, დავამარცხებ, მზეს წავართმევ ზღვის ბოროტ სულს წყეულ-კრულსა. რა ვიტანჯო, დავიქანცო და გამისკდეს წყლული გული— არ დავდგები მე უმზეოდ—კვლავ ვიხილავ წამებული.

სული კენესის... ველარ ვითმენ... ვაი... მხუთავს ღამე ბნელი, და დავსტირი ოქროს სხივებს, მთებში ვყვი მზის მძებნელი.

**პრაპ. ლად. ქარცივაძე**  
სოფლის მასწავლებელი იყო, შეგნებული მუშაკი. აზრუმთან ბრძოლაში დაიჭრა თებერ. 3, გარდ. 4. ოზურგეთს მოასვენ.

ვაბრიელ გოგუაძე

ოჰ, იესო, იესო!

„არა კაცი ჰკლა, არა იქურდო, არ იმრუშოვო!“ იტყოდი ესე. დღეს ყველა ჰხდება, მაგრამ ვინ იცის იქნებ არ იქმნეს შემდეგში ესე. იქნებ ოდესმე მენმა მოძღვრებამ გაათბოს კაცთა გული, გონება და, მოსპოს მტრობა, და მოსპოს შური, მოსპოს ღვრა სისხლის, ჩაგვრა, მონება...



ახალგაზრდა მეცნიერები  
**გალაქტიონ ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი**

ყვირილაში 1916 წ. გამართულ სალიტერატურო საღამოების გამართვის დროს მხატ. ს. გოლაძის მიერ გადაღებული.

3. ოდიშელი

\* \* \*  
 ნავთსადგურიდან ავწყვიტე ნავი  
 და გავიტაცე მღელვარე ზღვაზე;  
 სასტიკ სტიქიონს მოვხვიე მკლავი,  
 ვფრინავ და ვმღერი ტალღათა ხმაზე.

ზეიადო ზღვაო! შენა ხარ ჩემი  
 მშფოთვარე სულის გამომსახველი;  
 შენ მომანიტე ქვეყნად სიციოცხლე  
 და დაღუპვასაც შენგანვე ველი.

**გ. ქუჩიშვილი**

**ხ ე ლ ო ს ა ნ ი**

ხელოსანო, შენ ბრძენი ხარ:  
 არაფრისგან რამის მქმნელი,  
 ფხეს აიდგავს, სულს ჩაიდგავს  
 რა ლითონსაც ახლო ხელი.

შენ ძალა ხარ მსოფლიოსი,  
 ყოველივე შენა გმონებს,—  
 შენი ნაქსოვ ძოწეულით  
 სატრფო სატრფოს თავს აწონებს.

ხელოვნური სილამაზე  
 შენგნით არის მოწყობილი,  
 მუქთად მყოფნი მით ხარობენ,  
 შენ კი არ გაქვს, ძმაო, წილი.

შენ ლომი ხარ უძლეველი:  
 რკინას გრეხავ, ვითარცა წნელსა,  
 შენ უკეთებ მიწის მუშას  
 სახნის-საკვეთს, ნამგალ-ცელსა—  
 ის გმირთ-გმირიც მიწას ებრძვის,  
 მარჯვეთ გააქვს გუთნის კვალი,  
 არ უკრთება სეტყვა-გვალვას  
 ცის ქვეშ მოჰყავს მოსავალი,  
 რომ თვით გაძღეს, სხვაცა გაძღოს—  
 აი მისი წმიდა ვალი.

გაუმარჯოს ამგვარ მშრომელს,  
 ღმერთმა მისცეს მკლავში ძალი...  
 შენი ცოდნა მისი ღონე  
 ერთად არის მოსახმარი.  
 შეკავშირდით წმინდის გრძნობით,  
 საყვავეთ მთა და ბარი...  
 თქვენი თქვენვე მოიხმარეთ,  
 თქვენ გეკუთვნით ვფიცავ ღმერთსა  
 ცის და მიწის დამფუძნებელს,  
 მთელი ქვეყნის შემეფარ-ხა...

ხელოსანო, სახლს რომ აგებ,  
 ზედ რომ ხატავ მარჯვე ხელსა,  
 სიმაგრისა გულისათვის  
 ხომ ძირში ჰყრი საძირკველსა?!—  
 შენც ეგრე ხარ სამყაროსთვის:  
 სიმაგრე და მკვიდრი ბურჯი,—  
 ფრთა გაშალე, დასძარ ენა,  
 ნუ ხარ უტყვი, ნუ ხარ მუნჯი,  
 გაიტანე მაშვრალთ დროშა,  
 ღვთიურ ხელით ნაქსოვარი,  
 თან დასძახე: გაუმარჯოს  
 ვის მკერდზეც სჩქევს ოფლის ღვარი.

**გ. შინატყეხელი**



**ილიკო ქურხული**

უკრავს ხელით სატარებელ ფისგარმონზე

**მოხეტიალე მუსიკოსი\*)**

შეუძლიან, თუ არა, ხალხს დიდებულ  
 მუსიკოსთა ხელოვნების შეფასება-შეცნობა?  
 მინდოდა ეს კითხვა გამომეცნო და დიად  
 მუსიკალურ განძის ღარიბ ხალხთან გადატანა  
 და ჩვენება-მოსმენა განვიზრახე. და ავირჩიე  
 ვზა, რომელიც ყოვლის უკეთესად მეჩვენე-  
 ბოდა: ეზო-ეზო მოხეტიალე მუსიკოსად გაგზ-  
 დი; უბრალო აშულთა და ქუჩის მომღერლებს  
 ქიშპობა გავუწიე. ამ ოთხი წლის განმავლო-  
 ბაში მოსკოვისა, პეტროგრადისა, ცარსკოე  
 \*) ეს წიგნი დაბეჭდილი იყო „რუსულ უწყვე-  
 ბათა“ („Рус. Вѣд.“) 1915 წ. № 258-ში.

სელოსი, პეტერგოფისა და სხვა ქალაქთა ეზოებში ხეტიალის დროს შემთხვევა მქონდა ძალიან ბევრი რამ გამეგო და მომესმინა, მაგრამ აქ ცოტაოდენის გადმოცემა მინდა.

ამ საქმის დაწყებისას დარწმუნებული ვიყავი, ბევრი შემაფერხებელი რამ შემხვდებოდა; ბევრი ყურს არც კი დამიგდებდა; ბევრი მომისმენდა, მაგრამ ვერ შემაფასებდა; ხშირად გულცივად მიმიღებდენ, ამაწფოთებდენ კიდევ, მაგრამ ვიმედოვნებდი—მუსიკაში ჩასახული, უმაღლეს გრძობათა აღმძვრელი ძალა ხალხს ჩემთან მოიზიდავდა, და ჩემი სკრიპკა ხალხს მისცემდა უფრო მეტს, ვიდრე ხმაღაშლილი „შარმანკა“.

და ვიპოვე უფრო მეტი, ვიდრე ვფიქრობდი. თანდათანობით გაღვივებულ ინტერესსაც ვხედავდი, ღრმა თანაგრძობასაც და, ხშირად, ცრემლებსაც ვამჩნევდა,—თუმცა, რაც აუცილებელი იყო, გულცივობასა და აღწფოთებასაც ვხვდებოდი. სკვირველი ის არის, რომ ამადლევებლად პირველად მომექცა არა ის მდაბიო ხალხი, რომლისაგანაც მოველოდი!.. არა.

ერთ ეზოში ვუკრავდი და შემაწყვეტინა ვილაცის ყვირილმა:

— შენ, ეი, რა დაგემართა, რა ამბავია?!.

მოვტრიალდი. ჩემს წინ—წარმოსადგევი ვაჟაკი, ჩემქმებით; უბიჯაკოდ, ხელში კეტით...

— რაღათ უკრავ? არ გესმის, შე მუქთამქამელა?!. გასწი აქედან, შე ჩერჩეტო...

და ხელის ღონიერი მოქნევით „სმიჩოკი“ წამართვა.

— გავიგონე, ძვირფასო, მაგრამ ღუსიკის ასე უცბად შეწყვეტა როდი იქმნება.

— შენთან ლაპარაკი არა მსურს. მოშორდი აქედან, სანამ ტვინი არ გადმოგანთხეინე. შე მუქთა ხორავ, მაწანწალავ, ემ საათში დარაჯებს დაუძახებ...

ქუჩის მოვაჭრემ, რომელიც თურმე გარედან გვიყურებდა, შემდეგ შემატყობინა, რომ ის კაცი მეგზოვე კი არ იყო, როგორც მეგონა, არამედ პატრონი იმ სახლებისა, მილიონერი, რომელიც თავის სახლების ხელშეუხებლობას იცავდა.

ვერ ვიტყვი—ამ გვარი გულცივობა ბევრ-

ჯერ შემხვედროდეს, მაგრამ საქმის დასაწყისში უფრო ხშირი იყო, ვიდრე ბოლო ხანებში.

„ეზო-ეზო სიარულის“ პირველდაწყებით გაკვეთილებს „შარმანკი“-ს დამკვრელი ახმეტა მასწავლიდა. სამი დღის განმავლობაში სკრიპკის ბუდეს ატარებდა. მასწავლიდა, როგორ შეესულიყო, როგორ გაეჩერებულიყო, ბედის მიერ მოცემული საჩუქრები როგორის გულკეთილობით მიმელო... ბევრს მის ნასწავლებს შევეთვისე, ბევრს ვერა...

ახლა კი მარტო, სხვის გაუცილებლად დაედივარ. მეეზოვეს განცხადებას: „ბატონო, აქ დაკვრა არ შეიძლება, —ახლა ვუპასუხებ: ჩემთვის შეიძლება, მე ხომ „შარმანკის“ დამკვრელი არა ვარ.

მახსოვს, პეტროგრადში, ვასილიევის კუნძულზე, ზაფხულის ცხელ დღით, ერთ უზარმაზარ სახლის ეზოს მძიმე მძიმედ ვუახლოვდებოდი. გავიგე ოუ არა ჩვეულებრივი ზარ შეიძლება, ავუხსენი, რომ ჩემთვის შეიძლება. და ორმა მეეზოვემ შექმნა ბკობა—შეიძლება, თუ არა?!

ამ დროს კარის მსახური ჩაერია:

— „ეგ შარმანაკ უკრავდა, ქალბატონმა ვერ მოითმინა და სკრიპკის ხვას თავისი სიმღერა ააყოლა... და მაგას იმდენი ფული აჩუქეს, რომ მანათ ნახევარზე მეტი იქმნებოდა...“

მეეზოვეები კი ამბობდენ:

— ჩვენ კი სიხარულითაც მოვუსმენდით, მაგრამ სახლის პატრონი მკაცრია: იმ დღეს ერთი დამკვრელიც პოლიციაში გააგზავნინა...

— დიმიტრი, დიმიტრი,—მოისმა სახლის პატრონის ფანჯრიდან მოსამსახურის ხმა,—გაუშვი, დაუკრას. ბატონი მაინც სხვაგან არის...

მცირე შიშისა და ყოყმანის შემდეგ შემიშვეს.

